

საქართველოს ორგანულ კანონში

საქართველოს საარჩევნო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საარჩევნო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N25, 22.08.2001, მუხ. 107) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

47-ე მუხლის

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. საარჩევნო კამპანიის ფონდში საარჩევნო შემოწირულობების შემტანი იურიდიული პირი ვალდებულია მიუთითოს თავისი სახელწოდება და იურიდიული მისამართი. ხოლო ფიზიკურმა პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტი) და პირადი ნომრები. საარჩევნო ფონდში ფიზიკურ და იურიდიული პირთა შემოწირულობების მიღება ხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით“.

ბ) მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი

2¹.1. ფიზიკური პირის მიერ საარჩევნო ფონდში შემოწირულობის შეტანის შემთხვევაში თუ შემოწირულობის ოდენობა აღემატება 50 ლარს შემოწირულობის შეტანიდან ერთი კვირის ვადაში საგადასახადო ორგანოში წარადგენს საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაციას.

2. საარჩევნო ფონდს ფიზიკური პირისაგან 50 ლარზე მეტი ოდენობის შემოწირულობას მიღების უფლება აქვს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ”მოქალაქეთა პოლიტიკური ბაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორბანულ კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაბამისი დეკლარაციის შევსებიდან ერთი თვის ვადაში.

1. 95-ე მუხლს მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი

3¹. განცხადებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე ინფორმაცია პარტიის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის თაობაზე (საწევრო შენაგანების და შემოწირულობების ოდენობა, შემოწირულობის განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირების თაობაზე მონაცემები, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, აგრეთვე საგამომცემლო და პარტიის მიერ სხვა კანონით დადგენილი წესით მიღებული თანხები.)

2. 117-ე მუხლს მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. განცხადებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე ინფორმაცია პარტიის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის თაობაზე (საწევრო შენაგანების და შემოწირულობების ოდენობა, შემოწირულობის განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირების თაობაზე მონაცემები, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, აგრეთვე საგამომცემლო და პარტიის მიერ სხვადასხვა ღონისძიების მოწყობით მიღებული თანხები)

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი